ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა N 01-17/2

04/03/2021

2-01-17-4-202103041119

ქ.ქობულეთი

ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოში პროფესიული საჯარო მოხელის არსებულ ვაკანტურ თანამდებობაზე ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ

საქართველოს კანონის „საჯარო სამსახურის შესახებ“ 35-ე მუხლისა და საქართველოს მთავრობის 2017 წლის 21 აპრილის N204 დადგენილების საფუძველზე ვბრძანებ:

1. გამოცხადდეს ღია კონკურსი ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოში არსებულ შემდეგ ვაკანტურ თანამდებობაზე:

- I სტრუქტურული ერთეულის (საკრებულოს აპარატი) III რანგის II კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში.

2. დაევალოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს III რანგის II კატეგორიის უფროს სპეციალისტს ადამიანური რესურსების მართვისა და საკადრო საკითხებში უზრუნველყოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება და 3 (სამი) თვის ვადაში კონკურსის ჩატარება.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ.ბათუმი, ზუბალაშვილის ქ№30).

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

დავით მჭედლიშვილი

საკრებულოს თავმჯდომარე
ხელმძღვანელობა